პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# წითელ-არმიელი

ფასი 3 კაპ.

სამშაბათი, 20 აპრილი 1926 წ.

ყოველდღიური გაზეთი

რედაქციის მისამართი: ტფილისი, ევანგულოვის ქ. ელსმენი 2—24.

—

განცხადების ფასი პირველ გვერდ. 80 კ. სტრ. 4 გვ. 40 კ.

85 (1080) | 1 და 2 ქართული მსროლელი დივიზიის პოლიტ-განების ყოველდღიური გაზეთი | 85 (1080)

## საკარვოდ გასვლა მოახლოვდა.

რამოდენიმე დღე კიდევ და ჩვენი წითელი ჯარის ნაწილები საკარვოდ გავლენ. ჩვენი წითელი ჯარის საკარვოდ გასვლასთან ერთად დაკავშირებულია სხვა და სხვა ამოცანების შესრულება, რომელიც ჩვენ გვსურს ერთხელ კიდევ აღვნიშნოთ ჩვენი გაზეთის ფურცლებზე.

საკარვოდ გასვლისას ჩვენი წითელი ჯარის შესასრულებელი ამოცანები შემდეგი ხასიათის იქნება:

უპირველესათ ყოვლისა საკარვოდ გასული ჯარის ნაწილები თანდათანობით შეეჩვევიან არა მარტო ზაფხულის ცხელ ჰაერს, რომლის შეჩვევა მათთვის აუცილებელია მომავალი ომების თვალსაზრისით, რომელსაც ადგილი ექნება არა მარტო ზამთარში, არამედ უნდა ვიფიქროთ ზაფხულშიაც კი.

არამედ ისინი ამთავითვე უნდა მიეჩვიონ მთიან ადგილებზე იარულს და ასეთ პირობებში ომის წარმოებისათვის წინასწარ მზადებას.

ამ მოსაზრებით საკარვოდ გასულ ჯარის ნაწილებს ევალებათ სათანადოთ შეასრულონ და შეითვისონ ის სამეცადინო პროგრამა (რომელიც უმთავრესათ სამხედრო ხასიათის იქნება), რომლის გავლა სავალდებულოა მათთვის საზაფხულო პერიოდში.

ამიტომ კი საჭიროა, რომ ყოველმა წითელ-არმიელმა ნაწილათ წარმოიდგინოს ამ პროგრამის ყოველი მუხლი.

მეთაურთა შემადგენლობამ ამ მიმართულებით ერთგვარი წინასწარი მუშაობა უნდა აწარმოვოს და ეს მუშაობა კონკრეტიულათ უნდა გამოიხატებოდეს იმაში, რომ მეთაურებმა უნდა გაურკვიონ, საუბრის მოწყობის სახით წითელ არმიელებს ამ საზაფხულო პროგრამის საყურადღებო მუხლები.

მაგრამ ეს კიდევ არ კმარა, საჭიროა, რომ თვით წითელ არმიელთა საერთო კრებებზე იქნეს გარკვეული საზაფხულო პროგრამასთან დაკავშირებული საკითხები და ამ გზით ადვილი შესაძლებელი იქნება ამ საკითხების თეორეტიულათ შეთვისება, რომლის კარგად ცხოვრებაში გატარება შესაძლებელი იქნება მათთვის საკარვო ადგილებზე ყოფნის დროს.

არსებითად წინასწარი მუშაობა უნდა მიმდინარეობდეს პირველ მაისამდი. ხოლო ამის შემდეგ კი მაისის შუა რიცხვამდე ჩვენი ჯარის ნაწილებმა უნდა მოასწრონ საკარვო ადგილებზე გასვლა და იქ საზაფხულო პროგრამის განხორციელებისათვის სათანადო მუშაობის წარმოება.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ მიმდინარე წელს, ჩვენი ჯარის ნაწილები სათანადოთ შეასრულებენ საკარვოდ გასვლასთან დაკავშირებულ ამოცანებს და შესძლებენ იმ უარყოფითი მხარეების აღმოფხვრას, რომელსაც შარშან ქონდა ადგილი.

მაგრამ მთავარი რაც არის ეს არის ის, რომ ჩვენმა სამხკორებმა ამთავითვე უნდა მოგვაწოდონ სრული ცნობები იმ წინასწარი მუშაობის შესახებ, რომელიც მიმდინარეობს წითელ არმიელთა შორის, საკაროთ გასვლასთან დაკავშირებული ამოცანების, მათთვის გაცნობის თვალსაზრისით.

## ახალი პროვოკაცია.

როდესაც საბჭოთა ხელისუფლება განმტკიცდა და მან მოიპოვა საბჭოთა მცხოვრებლების უმრავლესობის თანაგრძნობა და გადაიქცა მნიშვნელოვან ძალათ საერთაშორისო პოლიტიკაში, ეხლა მისი დაუძინებელი მტრები ოფლში იწურებიან, რომ ახალ-ახალი ჭორები შეთხზონ საბჭოთა ხელისუფლების ირგვლივ.

თეთრ-გვარდიელების გულის მოსაგებათ და საკუთარ მუშათა კლასის თვალის ასახვევათ ბურჟუაზიულ ქვეყნების დეპეშათა სააგენტოები თითქმის ყოველდღიურათ ავრცელებენ პროვოკაციულ ხმებს და წინასწარმეტყველებენ ჩვენს მოსალოდნელ ეკონომიურ კატასტროფას.

გერმანიის დეპეშათა სააგენტო „ტელეგრაფენ უნიონ“-მა გამოაქვეყნა ცნობები, რომლის თანახმად, მოსკოვში ბუხარინს თითქოს წარმოეთქვას შემდეგი სიტყვა: „თუ საბჭოთა კავშირის გლეხური მოსახლეობა არ იხსნის მის მდგომარეობას, მას ემუქრება სამეურნეო გაკოტრება. ეკონომიური კატასტროფა გვიმზადებს აუცილებელ საფრთხეს. საჭიროა სასწრაფო დახმარება“.

ნამდვილათ კი ბუხარინს არავითარი სიტყვა არ წარმოუთქვამს, მით უფრო მას არ უთქვამს ჩვენი სამეურნეო პოლიტიკის გაკოტრების შესახებ. მხოლოდ დეპეშათა სააგენტოს „ტელეგრაფენ უნიონის“ ფალსიფიკატორებმა ეს სიტყვები განგებ, ბოროტი განზრახვით მიაწერეს ბუხარინს, რომელიც ეკუთვნის ვანდერველდეს.

ეს სიტყვა, სოციალისტმა ვანდერველდე-ბელგიის მეფის მინისტრმა, წარმოსთქვა ბრიუსელში, მაგრამ ვიღაცეებს მოესურვათ და იგი მიაკუთვნეს ბუხარინს.

რათ დასჭირდა „ტელეგრაფენ უნიონს“ ასეთი პროვოკაციის გავრცელება? მათ კარგათ იციან, რომ ჩვენ საგარეო პოლიტიკაში შევიქენით მნიშვნელოვან ძალათ. როდესაც ინტერვენციით ვერას გახდენ ევროპის კაპიტალისტები ერთხანს დიდ იმედებს ამყარებდენ ჩვენ დამარცხებას სამეურნეო ფრონტზე. მაგრამ, მათ მალე გაუცრუვდათ იმედი. საბჭოთა ქვეყნების მიღწევებმა ეკონომიურ ფრონტზე ისინი აიძულა ეწარმოებიათ ჩვენთან მოლაპარაკება სხვა და სხვა ეკონომიურ ხასიათის ხელშეკრულების დადების შესახებ და მოეგვარებიათ ჩვენთან ნორმალური სავაჭრო ურთიერთობა. ეს მოსვენებას არ აძლევდა ზოგიერთ რეაქციონურ წრეებს და რუსეთის თეთრგვარდიელ ემიგრანტებს, ვინაიდან ჩვენი ეკონომიური და სავაჭრო ურთიერთობა იწვევდა ჩვენს სამეურნეო და პოლიტიკურ განმტკიცებას.

მათ ბევრჯერ მიმართეს სხვა და სხვა პროვოკაციას, რომ გაემწვავებიათ ჩვენი დამოკიდებულება ევროპის სახელმწიფოებთან, მაგრამ მიზანს მაინც ვერ მიაღწიეს. გულს არ იტეხენ, ცდას კვლავ აგრძელებენ. ჭორი და პროვოკაცია მათი ნივთიერი გამდიდრების წყაროა. ჩვენ კი ყოველთვის გულგრილათ შევხვდებით მათ მორიგ პროვოკაციას. მეტ ყურადღებას ვერც ეს უკანასკნელი პროვოკაცია ეღირსება.

თ.

# ახალი რადიო ამბები

## ჩინეთის ამბები.

### დუან-ცზი-ჩუეი დაუბრუნდა თანამდებობას

დუან-ცზი-ჩჟუი დაბრუნდა საელჩოს კვარტალიდან და გამოაცხადა, რომ მან განაახლა თავისი მოვალეობის შესრულება და რომ მთავრობის მუშაობა გრძელდება.

იაპონიის წყაროების მიხედვით დუან-ცზი-ჩჟუის მდგომარეობა უფრო მტკიცეა, ვინემ წინად იყო. შესაძლებელია, რომ ის არჩეულ იქნას ჩინეთის რესპუბლიკის ფორიალურ პრეზიდენტადო.

## მუკდენლები ემუქრებიან კარახანს

მუკდენისა და ხარბინის გაზეთების უკანასკნელ ცნობებში ნათქვამია: მუკდენის ხელისუფლება აკისრებს მთელს პასუხისმგებლობას კარახანს სსრკ-ს პოლიტიკაში; ხელისუფლება არა ერთხელ მოითხოვდა კარახანის გაწვევას ჩინეთიდან; ამიტომ, იმ შემთხვევაში, თუ რომ პეკინი დაიკავა მუკდენის ჯარებმა, მუკდენის ხელისუფლება ყოველგვარ პასუხისმგებლობას იხსნის თავიდან კარახანის პიროვნების უზრუნველყოფაში.

## კვლავ ინციდენტი

16 აპრილს, ღამით საბჭოთა კავშირის სავაჭრო წარმომადგენლობის შენობაში რიგაში შეიჭრა ორი შეიარაღებული უცნობი, რომლებიც მოითხოვდენ აბრების ჩამოხსნას წარმომადგენლობის შენობიდან. მეკარემ ვერ შესძლო მათი დაკავება, ვინაიდან მახლობლად მშველელი არავინ აღმოჩნდა.

საბჭოთა კავშირის წარმომადგენლობამ სასტიკი პროტესტი განუცხადა ამ ამბის გამო ლატვიის საგარეო საქმეთა სამინისტროს.

## კონსერვატორების დელეგაცია საბჭოთა კავშირში

17 აპრილს ინგლისიდან საბჭოთა კავშირში გამოემგზავრა ინგლისის პარლამენტის 4 წევრი—კონსერვატორები. მათი მიზანია საბჭოთა კავშირის მდგომარეობის გაცნობა.

ეს პირველი შემთხვევაა რევოლიუციის შემდეგ.

## საბჭოთა კავშირში

### ინგლისის პროფკავშირთა დელეგაციის ჩამოსვლა

17 აპრილს მინსკში ჩამოვიდა 7 კაცისაგან შემდგარი ინგლისის პროფკავშირთა დელეგაცია, რომლებიც მოწვეულ იყო რკინისგზელთა ცენტრალურ კომიტეტის მიერ. დელეგაცია, გარდა მოსკოვისა, ინახულებს საბჭოთა კავშირის მსხვილ სამრეწველო ცენტრებს.

## ფუნტიკოვის გასამართლება.

17 აპრილს დაიწყო კასპიის იქითა მხარის ეგრედწოდებულ მთავრობის თავმჯდომარის ფუნტიკოვის საქმე, რომელსაც ბრალდება იმ ორგანიზაციის მეთაურობა, რომელმაც 1918 წელს აჯანყება მოაწყო საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ.

19 აპრილის სხდომაზე სწარმოებდა მოწმეების დაკითხვა.

### მოწმე დოვლათოვის ჩვენება.

ინგლისელებმა, ესერების, დაშნაკელებისა და მენშევიკების დახმარებით ხელთ იგდეს კასპის ფლოტი. თეთრგვარდიელთა ორგანიზაციას ხელმძღვანელობდა ესერი ზვოხიცკი, რომელიც მოქმედებდა პარტიის დავალებით და სურდა მოეხდინა აჯანყება ბაქოში საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ. თეთრგვარდიელთა დაჭერის დროს მათ უნახეს მოწოდებები ინგლისელების მოწვევის შესახებ. ასეთივე მოწოდება გამოუშვეს ესერებმა ერთი თვის შემდეგ, რაც ამტკიცებს იმას, რომ ესერებსა და თეთრგვარდიელებს კავშირი ჰქონდათ ამ საკითხში.

### ალამიროვის ჩვენება.

მოწმე ალამიროვი, ერთ-ერთი მაშინდელი სამხედრო მუშაკი ბაქოს ფრონტისა ოსმალების წინააღმდეგ—ამბობს: მენშევიკები მოითხოვდენ ომის შეწყვეტას, ხოლო მათი დრუჟინები უარს ამბობდენ ფრონტზე წასვლაზე. მოწმე ამტკიცებს შეთანხმების არსებობას ოსმალეთის ძალებსა და სომხეთის ეროვნულ საბჭოს შორის ბოლშევიკების წინააღმდეგ. მოწმეს სიტყვით ესერები და მენშევიკები ფართე აგიტაციას ეწეოდენ ინგლისელების მოწვევის სასარგებლოდ. შემდეგ ესერ ივანოვისა და ოფიცერ კირიჩენკოს მიერ მოწყობილ იქნა შეთქმულება ინგლისის ხარჯზე. შეთქმულთა მიზანი იყო ერთიანი რუსეთის აღდგენა.

### არტაკის ჩვენება

მოწმე არტაკი აღნიშნავს მენშევიკებისა და ესერების ფართე აგიტაციას ბაქოს მუშებს შორის, რომლებსაც უხსნიდენ, რომ ბოლშევიკები ხელს უშლიან ინგლისელებს გამოგზავნონ ბაქოში სურსათ-სანოვაგე, საქონელი და პური.

### გიორგი სტურუას ჩვენება

მოწმე სტურუა აცხადებს, რომ სულ მოკლე ხანში ფართე მასებისთვის აშკარა შეიქნა, თუ რას ნიშნავდა ინგლისელების მოწვევა.

ესერები და მენშევიკები თავს იმართლებდენ იმით, რომ მათ სურდათ შეენახათ ბაქო რუსეთისთვის.

მოწმე სტურუა ბაქოს საბჭოს ბოლშევიკური ფრაქციის სახელით მოლაპარაკებას აწარმოებდა ცენტრო-კასპიის მთავრობასთან. უკანასკნელის მიმართ წარდგენილი იყო შემდეგი მოთხოვნილებები:

1) მიმართათ დახმარებისთვის საბჭოთა ასტრახანისთვის, 2) გაეთავისუფლებიათ ამხანაგები ბაილოვის ციხიდან, 3) გაეწმინდათ ინგლისელებისაგან ბაქო, 4) გაეშვათ ნავთი რსფსრ-სათვის და სხვა.

მაგრამ ცენტრო-კასპიის მთავრობამ უარყო ეს წინადადებები.

შემდეგ მოწმე დასძენს:

რომ შეექმნათ ისეთი შთაბეჭდილება, თითქოს ინგლისელები სურსათით ეხმარება ბაქოსო, მათ რამოდენიმე მცხოვრებს დაურიგეს რამოდენიმე ბრინჯი, მაგრამ მათ ბაქოდან გაცილებით მეტი გაიტანეს, ვინემ შემოიტანეს.

# საქართველოში.

## ცეცხლი ცხინვალში

17 აპრილს ცეცხლი გაუჩნდა ცხინვალის დგამის ფაბრიკას. ცეცხლმა გაანადგურა მთელი ფაბრიკა, რომლის გადარჩენა შეუძლებელი გახდა.

დაიღუპა დამზადებული დგამის დიდი რაოდენობა. ზარალი ირკვევა.

# მუშურ-გლეხურ მილიციის ხუთი წლის თავი

1921 წლის აპრილის 20 გამოქვეყნებულ იქნა დებულება საქართველოს მუშურ-გლეხურ მილიციის შესახებ.

დღეს სრულდება 5 წელი მილიციის არსებობისა.

პირველ ხანებში მილიციას უხდებოდა მუშაობა ძნელ და არა ხელსაყრელ პირობებში—იგი არ იყო უზრუნველყოფილი მატერიალურად. ნახევრად ტიტვლებს და მშივრებს უხდებოდათ მუშაობა, მაგრამ მიუხედავათ ამისა, წითელი მილიცია პირნათლად ასრულებდა თავის მოვალეობას.

მილიციის მნიშვნელობა დიდია. მას დაკისრებული აქვს უპირველეს ყოვლისა დაცვა სახელმწიფოსი შინაურ მტრებისაგან, აგრეთვე დავალებული აქვს საზოგადოებრივი მშვიდობიანობის დარაჯობა და ჩვენი ქვეყნის მშრომელი მოსახლეობის უშიშროების დაცვა.

როგორც მუშურ-გლეხური წითელი ჯარი სდგას საბჭოთა რესპუბლიკების სადარაჯოზე და იცავს მას გარეშე მტრების თავდასხმისაგან, ისე მუშურ-გლეხური წითელი მილიცია თავგამოდებით იცავს მშრომელებს შინაურ მტრებისაგან, რომლებიც სცდილობენ ხელი შეუშალონ მშვიდობიან შრომის მსვლელობას.

განა ცოტანი არიან ეს შინაური მტრები? ისინი მრავლად მოიპოვებიან ჩვენი ქვეყნის ტერიტორიაზე; მათი მიზანია სხვა და სხვა ხელოვნურ და ავაზაკურ გამოსვლებით რაიმე ზიანი მიაყენონ მშრომელთა ქვეყანას. და აი ამ მტრებთან ბევრჯერ მოსვლია შეტაკება წითელ მილიციას, ბევრი მაგალითია მილიციონერების მიერ თავდადების მშრომელთა კეთილდღეობისათვის.

დღეს წითელი მილიცია დღესასწაულობს თავის არსებობის ხუთი წლის თავს.

საქართველოს მშრომელები შესაფერისად აღნიშნავენ ამ დღესასწაულს.

დღესასწაულთან ერთად საქართველოს მშრომელებმა უნდა გაითვალისწინონ ის გარემოება, თუ რამდენათ რთული და პასუხისსაგებია მილიციის მოღვაწეობა.

მისი მოღვაწეობა გვავალებს, რომ განსაკუთრებული ყურადღებით მოვეპყრათ მილიციას და ყოველმხრივი დახმარება და მზრუნველობა აღმოუჩინოთ მას.

მშრომელების დახმარება მილიციას გაუადვილებს მის მოვალეობის აღსრულებას და ხელს შეუწყობს მილიციის გამაგრება—განმტკიცების საქმეს.

ძლიერი, გაწვრთნილი მილიცია თავდებია იმის, რომ ყოველი მშრომელი იქნება უზრუნველყოფილი შინაურ მტრებისაგან და ექნება საშვალება მშვიდობიანათ იმოღვაწეოს ქვეყნის საკეთილდღეოთ.

ე. ხუციშვილი.

# სამხედრო ქრონიკა

## თადარიგის უფროსთა შემადგენლობის პოლიტმომზადება

რესპუბლიკის პოლიტსამმართველომ შეიმუშავა თადარიგის უფროსთა შემადგენლობისათვის შეკრების დროს პოლიტმომზადების გეგმა და პროგრამა. თადარიგის მეთაურის პოლიტიკურად მომზადების მიზანია, რომ გავაცნოთ ის წითელი არმიის მშენებლობის ძირითად ცნობებს, თადარიგის მეთაურის ამოცანებს მოსახლეობის გასამხედროების საქმეში და რამოდენიმედ გავაცნოთ მას ომიანობის ხანაში პოლიტმუშაობის პირობებს და მეთაურთა შემადგენლობის როლს მასში.

მეცადინეობა იწარმოებს ამისთვის სპეციალურად გამოყოფილ პოლიტმომუშავეების მიერ.

ამასთანავე ერთად დამტკიცებული იქნა თადარიგის მეთაურთა შემადგენლობის მოსამზადებული პროგრამა და გეგმა საზოგადოთ მეცნიერებასა და პოლიტმუშაობისათვის. პროგრამა შეიცავს საკავშირო კომპარტიის კონფერენციებისა და ყრილობების დადგენილებებს და რეზოლიუციებს.

პროგრამაში გათვალისწინებულია ცნობები პოლიტმუშაობაზე, წითელ არმიაში პარტიულ და ახკომკავშირის ორგანიზაციების როლი მშვიდობიან დროს, მოსახლეობის სამხედრო მომზადების და პოლიტიკური მუშაობის საკითხები ომიანობის დროს. პროგრამა გავლილი უნდა იქნეს შეკრების განმავლობაში, საზოგადოებრივ მეცნიერებასთან ერთად.

# როგორ უნდა გაიგნო ქვეყნის მხარეები საათის მიხედვით.

ყიბლანის მიხედვით, როგორც ვიცით, ადვილი გასაგებია ქვეყნის მხარეები, ვინაიდან ყიბლანის ისარი ერთის წვეროთი ყოველთვის მიმართულია ჩრდილოეთისკენ. მაგრამ შეიძლება ყოველთვის არ გვქონდეს ხელთ ყიბლანი.

არის კიდევ სხვა საშუალებანი ქვეყნის მხარეების გასაგნებად. ერთი ამ საშუალებათაგანია საათი და მზე.

როგორც ვიცით, საათის ისარი ისე, როგორც მზე, მოძრაობს წრეზე. საათის ისარი შემოივლის მთელ წრეს 12 საათში, ხოლო მზე კი 24 საათში.

ღამის 12 საათზე ისარი სდგას ციფრ—12—ზე, ხოლო მზე კი ამ დროს ჩრდილოეთით იმყოფება (მას ჩვენ ამ დროს ვერ ვხედავთ).

უნდა წარმოვიდგინოთ, რომ მზის მიმართ ჩვენ ვიმყოფებით ისე, როგორც საათის შუა-გული ისარის წვეროს მიმართ. როცა საათის ისარი დაშორდება 12-ს ვსთქვათ, ერთი საათით, მზე ამ დროს განმავლობაში გაივლის ნახევარ გზას, ე. ი. ნახევარი საათის მანძილს. აი აქაა მთელი საიდუმლოების გასაღები. ავიღოთ მაგალითი: ვსთქვათ ეხლა დილის 5 საათია. მაშასადამე, ისარი დაშორებულია 12-დან ხუთი საათით ხოლო მზე ამის ნახევარი მანძილია ე. ი. $2\frac{1}{2}$ საათით. თუ რომ ჩვენ ამ ნახევარს მივმართავთ მზისკენ, ციფრი 12 გვიჩვენებს ჩრდილოეთს.

მეორე მაგალითი: დილის 10 საათია. მაშასადამე, მზე მოშორდა ჩრდილოეთს სულ 5 საათით. უნდა მივმართოთ 5 მზისკენ; ამ შემთხვევაში ჩრდილოეთს გვიჩვენებს 12 საათი.

მესამე მაგალითი: დღის ორი საათია. მაშასადამე ისარი დაშორდა ღამის 12 საათს 14 საათით (12 საათს+2 საათი). ეხლა ხშირად გაიგონებთ 14 საათი, ეს ნიშნავს დღის 2 საათს; მზე გადავიდა ჩრდილოეთიდან ნახევარ მანძილით, ე. ი. 7 საათით. მივმართავთ 7 საათს მზეზე; ამ დროს 12 საათი კვლავ გვიჩვენებს ჩრდილოეთს.

ქვეყნის მხარეების ასეთი საშუალებით გაგნება მეტად საიმედოა, მაგრამ მას შეიძლება მივმართოთ მხოლოდ მზიან ამინდში.

პ.

# როგორია ქვეითი ჯარის შეიარაღება

ჯარის ნაწილი წარმოადგენს შეკავშირებულ და მტრის წინააღმდეგ ბრძოლისთვის ტეხნიკურ საშუალებებით მომარაგებულ ცოცხალ ძალას. მთელი ჩვენი წითელი არმია შესდგება მთელ რიგ ჯარის ნაწილებისაგან, რომლებიც თავის დანიშნულებისა და მუშაობის ხასიათის მიხედვით იყოფა რამდენიმე გვარად:

ქვეითი ნაწილი, ცხენოსანი, საინჟენერო, საკავშირო და სხვა.

რომ ქვეითი ჯარი ბრძოლაში უფრო დამოუკიდებელი და ძლიერი იყოს, მას ეძლევა ბრძოლის ტეხნიკური საშუალებანი, რაც წარმოადგენს ქვეითი ჯარის შეიარაღებას.

მთელი ქვეითი ჯარის შეიარაღება თავის დანიშნულების მიხედვით შეიძლება დაყოფილ იქნას ორ ჯგუფად: 1) იარაღი, რომლითაც შეიარაღებულია თვითეული მეომარი, ე. ი. ეგრედ წოდებული პირადი იარაღი და 2) იარაღი, რომელიც მიცემული აქვს მთელ ჯგუფს ან ცალკე ორგანიზაციულად ჩამოყალიბებულ ერთეულს (ჯარის ნაწილს) და რომელსაც ჩვეულებრივად ეწოდება ჯგუფური იარაღი.

მეომრის პირად იარაღს ეკუთვნის შაშხანა ხიშტით, ხელით სატყორცნი გრანატა და რევოლვერი.

ჯგუფურ იარაღს ეკუთვნის: ავტომატი, ხელის ტყვიამფრქვევი, დაზგის, ანუ მძიმე ტყვიამფრქვევი, თოფის გრანატა, მსროლელთა (ქვეითის) ქვემეხები (ზარბაზნები).

შაშხანას, რომლითაც შეიარაღებულია ჩვენი მეომარი, ეწოდება რუსული სამხაზიანი შაშხანა 1891 წლის სახისა. მისი წონა ხიშტით უდრის 4,2 კილოგრამს, ე. ი. დაახლოებით 10 ნახ. გირვანქას. სიგრძე ხიშტით უდრის 2 არშინს და 7 ვერშოკს, უხიშტოდ—არშინსა და 13 ვერშოკს. შაშხანით სროლა შეიძლება არა ავტომატიურად და შეიძლება გამოცდილ მსროლელმა წუთში გაისროლოს 12 ჯერ. კარას მიხედვით ტყვია მიდის 3.200 ნაბიჯზე.

შაშხანის ცეცხლი თავის მოქმედებისდა მიხედვით იყოფა: 1) მარჯვე ცალკეული ცეცხლი 400 მეტრამდი (600 ნაბიჯი); თვითეული მეომარი ვალდებულია აწარმოოს ასეთი ცეცხლი და ის პასუხისმგებელია მტრის შემუსვრაში დამოუკიდებლად, თავისი უფროსის მიუთითებლად; 2) ნამდვილი ჯგუფური ცეცხლი 1.000 მეტრამდი (1.200—1.400 ნაბიჯამდი) და შორი ცეცხლი 1.200 მეტრს ზევით, რომელსაც შეუძლია კარგი შედეგი მოიტანა მხოლოდ მაშინ, როცა მტრის ერთ მიზანში რამოდენიმე შაშხანიდან სწარმოებს სროლა ერთსა და იმავე დროს.

მეომარს თან აქვს ვაზნების მარაგი—120 ცალი, რომელთა წონა უდრის დაახლოებით [illegible] ნახ. გირვანქას.

ხიშტი იხმარება ხელჩართულ ბრძოლაში. შაშხანის დანიშნულებაა აწარმოოს მარჯვე ცეცხლი ახლო მანძილზე სასწრაფო მიზნებში; ამიტომ ის არის ქვეითი ჯარის მთავარი იარაღი, რომელმაც, თუ რომ სხვა გვარი იარაღის ხმარება შეუძლებელი იქნება, უნდა შესცვალოს ე. ი. გასწიოს მისი მაგივრობა.

ამისთვის საჭიროა, მეომარმა შეეძლოს შაშხანისა და ხიშტის კარგი ხმარება.

ი. ბ.

# იმპერიალისტების შეიარაღებული ძალები კოლონიებში.

იმპერიალისტურ ქვეყნების შეიარაღებული ძალები კოლონიებში ტომობის მიხედვით იყოფა ევროპიელთა და ფერად ჯარებად; შედგენის მხრივ—გაწვეულთა და დაქირავებულთაგან; ორგანიზაციულობის მიხედვით—რეგულიარულ და ირრეგულიარულად (არარეგულიარულად).

საერთოდ კოლონიალური ჯარები შეიძლება დაყოფილ იქნას შემდეგ კატეგორიებად:

1. ევროპიელთა დაქირავებული ჯარები (საფრანგეთსა და ესპანეთში—უცხოელთა ლეგიონი, ინდოეთში—განსაკუთრებულ დანიშნულების ნაწილები).

2. მეტროპოლიის ჯარები (მეტროპოლია — სახელმწიფო, რომლისგანაც დამოკიდებულია კოლონიები):

ა) შედგენილი დაქირავებულთაგან (ინგლისის არმია ინდოეთში);

ბ) შედგენილი გაწვეულთაგან (ჯარები ალჟირსა და ტუნისში).

3. ევროპიული თავდაცვა (ინგლისის კოლონიები).

4. ფერადი ჯარები:

ა) რეგულიარული,

ბ) არარეგულიარული.

5. ევროპისა და ადგილობრივი პოლიცია და ჟანდარმერია.

ევროპის დაქირავებულ ჯართა უფრო დამახასიათებელ სახეს წარმოადგენს საფრანგეთის უცხოელთა ლეგიონი. საფრანგეთის იმპერიალიზმის ამ „ჯოჯოხეთური რაზმის“ დასახასიათებლად საკმარისია აღვნიშნოთ, რომ იქ ღებულობენ სამსახურში ყველა უცხოელებს, რომლებიც თანახმა იქნებიან ხელი მოაწერონ პირობას 5 წლით; ამასთან ლეგიონში შემავალთ არ სთხოვენ არავითარ პირადობის საბუთებს. ლეგიონში ბატონობს რკინის დისციპლინა. ეს ლეგიონი იგზავნება ყველა კოლონიალურ ექსპედიციებში, ადგილობრივ აჯანყებათა ჩასახშობად და მეამბოხე ტომების დასაწყნარებლად.

1922 წლის ანგარიშის მიხედვით ლეგიონის 80°/₀-ს შეადგენდა უცხოელები; ამათ შორის გერმანელები უდრიდა 46 სამ მეოთხედ პროცენტს, რუსი თეთრგვარდიელები—13 პროცენტს, თათრები—4 პროცენტს, უნგრელები, პოლონელები და ესპანელები ორ-ორ პროცენტსა და სხვა.

მეტროპოლიის ჯარების ნიმუშად, რომლებიც შედგენილია დაქირავებულთაგან, შეიძლება დავასახელოთ ინგლისის რეგულიარული არმია ინდოეთში, ეგვიპტეში და სხვა კოლონიებში. ინგლისის არმიის ნაწილები არ შეადგენენ ამ სამფლობელოთა მუდმივ გარნიზონს, არამედ ისინი იცვლებიან ნაწილებით მეტროპოლიიდან თვითეულ ოთხ-ხუთ წელიწადში.

კოლონიებში მეტროპოლიის ჯარების გამოყენება ყოველწლიურად გამოწვეულთაგან ფართე მაშტაბით არასასურველადაა ცნობილი. ამ ჯარების კოლონიებში გადაყვანა და შემდეგ კვლავ გადმოყვანა უკანვე სამშობლოში მეტად ძვირი ჯდება. მათი შენახვაც დიდ ხარჯებს მოითხოვს. ისინი ადგილობრივ მოსახლეობის წინააღმდეგ მაინც და მაინც არ იბრძვიან ხალისით. შეუჩვეველ კლიმატიურ პირობებში ისინი მოითხოვენ განსაკუთრებულ მოვლასა და ხშირად ავადდებიან გადამდები სენითა და სხვა ავადმყოფობით. ამის მაგალითად მოვიყვანთ მადაგასკარის ექსპედიციას 1895 წელში, სადაც ფრანგების ზარალი მეტად დიდი იყო: 72 პროცენტი ჯარისა დაიღუპა ციებ-ცხელებისაგან, 29,3 პროცენტი მუცლის სახადისაგან და 0,7 პროცენტი—ჭრილობისაგან.

ესპანელებმა რიფების წინააღმდეგ ბრძოლაში ვერ გამოიყენეს ეს გამოცდილება.

ესპანეთის არმია, რომელიც სასტიკად დამარცხდა რამოდენიმეჯერ მაროკოში, შედგენილ იყო მეტროპოლიის ჯარებისაგან; ამ ჯარების შემადგენლობაში გაწვეული იყო ესპანეთის ძირითადი მოსახლეობა.

ამ ჯარების შემადგენლობის ხშირმა ცვლამ დასცა მათი ბრძოლის უნარიანობა. მხოლოდ 1920 წელში ესპანეთის გენერალურ შტაბმა ანგარიში გაუწია საფრანგეთის გამოცდილებას და დაწყებულ იქნა ესპანეთის უცხოელთა ლეგიონის ევროპიულ ნაწილების რეგულიალურ და არარეგულიარული ადგილობრივ ჯარების შედგენა.

ევროპის თავდაცვა უმთავრესად განვითარდა ინგლისის, ჰოლანდიის და ნაწილობრ ბელგიის კოლონიებში: აფრიკაში, ინდოეთის ოკეანეს კუნძულებზე, ჩინეთში და სხვა. „თავდაცვა“ აგებულია მილიციურ საფუძველზე და შედგენილია ადგილობრივ ევროპიელ—კოლონიელებისაგან და, ნაწილობრ, ევრაზიელთაგან (შერეულ წარმოშობის პირთაგან). განგაშის შემთხვევაში ყველა ევროპიელები იკრიბებიან დანიშნულ წერტებზე და მოქმედებენ შეერთებულად. შეიარაღებულია ისინი შაშხანებით და ნაწილობრ ტყვიამფრქვევებითა და ხელით სატყორცნი გრანატებით.

ფერად ჯარებმა, როგორც რეგულიარულმა, ისე არარეგულიარულმა, განსაკუთრებული როლი ითამაშეს კოლონიალურ დაპყრობათა ისტორიაში. გადაუმეტებლად შეიძლება ითქვას, რომ ინდოეთი, ინდო-ჩინეთი და მთელი შავი კონტინენტი, აფრიკა, დაპყრობილია იმპერიალიზმისთვის ადგილობრივ ათასეულების სისხლით.

საფრანგეთში ფერადი ჯარები სდგებიან გაწვევით (2—3 წლით), მოხალისეებისაგან (4—5—6 წლით) და ვადის ზევით მსახურთაგან (3—4—5 წლით).

აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ საფრანგეთი თავის ფერად ჯარებს ავსებს მოხალისეებით და ყოველწლიურ დანაკლისს ავსებს გაწვევით. დიდი ბრიტანეთი და იტალია თავის ფერად ჯარებს ადგენენ მხოლოდ ნებაყოფლობით დაქირავებულებით. საშუალოდ მოხალისეთა ნამდვილი სამსახურის ვადა ინდოეთის არმიაში უდრის [illegible] წელს და არმიის რეზერვში—10 წელს.

სტ. უ—კი.

# ჩვენი წითელი ჯარის ცხოვრება და მუშაობა.

## მალე გავალთ ბანაკში.

1-ლი ლეგიონი კარგა ხანია შეუდგა ბანაკში გასვლისათვის სამზადისს. ლეგიონის ყველა ნაწილებში გაცხოველებული მუშაობა სწარმოებს. წითელ არმიელები აქტიურად არიან ჩაბმული ამ მუშაობაში. უკვე გაემგზავრა ლეგიონის ერთი ათასეული წინასწარ ბანაკის მოსაწყობათ. მეცადინეობის საზამთრო პროგრამა კარგა ხანია დავასრულეთ. ამჟამად გადავედით პრაქტიკული ხასიათის მეცადინეობაზე. ეს საზაფხულო—საბანაკო მუშაობის დასაწყისია. სწარმოებს გავლილი საგნების გადამეორება, შაშხანების გადასინჯვა, გასუფთავება და სხვა. ყველა სიხარულით ეგებება საბანაკო შეკრებას. იმედი გვაქვს კარგად დავასრულებთ მუშაობას.

სამხკორი იმანე.

## ჩვენც ვემზადებით საბანაკოთ.

ცხენ. ლეგიონი.

ლეგიონმა უკვე გამოჰყო ერთი ნაწილი და გაგზავნა ბანაკის მოსაწყობათ. ნაწილი შეიარაღებული იქნა ყველა საჭირო იარაღებით, სურსათ-სანოვაგით და სხვა. ნაწილი აქედანვე შეუდგება საბანაკო ადგილის ამორჩევას და მის სათანადოთ მოწყობას.—აბა ბიჭებო თქვენ იცით როგორ ბანაკს დაგვახვედრებთ, არ შეგვარცხვინოთ-ო. მისძახოდენ ლეგიონში დარჩენილი წითელ არმიელები მიმავალთ. ლეგიონი სადაც არის მალე გავა ბანაკში და შეუდგებით საზაფხულო—პრაქტიკული მუშაობის წარმოებას.

სამხკორი პ. კახიძე.

## როგორ უახლოვდებით გლეხებს.

მე 6 ლეგიონი.

ლეგიონის მეორე ათასეული თანდათან უფრო უახლოვდება ადგილობრივ გლეხობას, ხშირად უმართავთ გლეხებს საუბრებს, მივდივართ მათთან ვაწყობთ მიტინგებს და სხვა. დიდ დახმარებას გვიწევს ამ მხრივ აგრეთვე ათასეულის დრამატიული წრე, რომელიც ხშირად მიდის სოფლებში და მართავს უფასოდ რევოლიუციონურ წარმოდგენებს. ერთი ასეთი მაგალითი იყო 10 აპრილს. ათასეულის დრამწრემ სოფ. ნუკრიანში გამართა ცოცხალი სურათი, „1-ლი ზარი", „დოფტნის კედლებში" და „უმუშევრების კანტორა".

სურათებმა ძლიერ დააინტერესა გლეხები, რომლებმაც დიდი მადლობა გამოუცხადეს დრამწრეს და სთხოვეს ხშირად მივიდენ ისინი მათთან და გამართონ ასეთი ხასიათის წარმოდგენები, რაც წრემ სიამოვნებით აღუთქვა.

სამხკორი დათა ელიზბარიშვილი.

## გავედით პრაქტიკაზე.

სამხედრო პოლიტ-სკოლის უფროსი კურსის კურსანტები 16 აპრილს გავედით პრაქტიკაზე. დანაწილებული ვიქენით 1-ლი ლეგიონის ასეულებში, თითო ასეულს მიგვამაგრეს სამ-სამი კურსანტი. ჩვენ მოვალეობას შეადგენს; პირველ კვირაში—შევისწავლოთ წითელარმიელთა აუდიტორია. აუდიტორიის შესწავლის შემდეგ, თანახმად შემუშავებულ პროგრამისა და მასთან შეფარდებით ვით ნაწილის გასავლელ პროგრამასთან, თითეულ კურსანტს მოუხდება სამი თემის ჩატარება. თემა იქნება შედგენილი: ამეული კურსანტების მიერ კოლექტიურად, ხოლო ჩატარება იქნება ინდივიდუალური. გაკვეთილის ჩატარებას დაესწრება კომისია, რომელიც შეაფასებს კურსანტის მიერ ჩატარებულ თემას.

ამნაირად ჩვენს პრაქტიკულ მუშაობას მიზნად აქვს დასახული: პირველი—თეორიულად შეძენილი ცოდნა დაუახლოვდეს პრაქტიკულ მუშაობას და შეძლება მიეცეს კურსანტებს მომავალი მუშაობისათვის.

მეორეთ კი პრაქტიკული მუშაობა გამოაშკარავებს ამა თუ იმ კურსანტის უნარიანობას მომავალი მუშაობისათვის. ჯერჯერობით ჩვენი მუშაობა კარგად მიმდინარეობს.

კურსანტი ლ. გაბედავა.

## ლენკუთხის მუშაობა გამოცოცხლდა.

მე-2 არტლეგიონის სკოლა.

ლეგიონის სკოლის ლენინის კუთხის მუშაობა საკმაოდ გამოცოცხლდა. შედგენილი იქნა კუთხეში სამუშაო გეგმა და მისი მიხედვით ტარდება მეცადინეობა. კუთხეში ყოველ თავისუფალ დროს ტარდება საუბრები, როგორც პოლიტიკური ისე სამხედრო ხასიათის. მეცადინეობას კარგი ნაყოფი მოაქვს. წითელ არმიელები აქტიურად ებმიან ყველა დავალებების შესასრულებლად.

ლენკუთხეში ჩაბმულია კომკავშირის წევრების მთელი რიგი, დიდ აქტიობას იჩენენ აგრეთვე ზოგიერთი უპარტიო წითელ არმიელებიც. ასე არ იყო პირველ ხანებში, მაგრამ კუთხის გამგეობის ენერგიულ მუშაობამ შესძლო აქამდე დაეინტერესებია წითელ არმიელთა ფართო მასა.

სამხკორი ნიკ. ჭოლოკავა.

## ვსწავლობთ ცხენოსნობას

ცხენ. ლეგ. სკოლა.

ლეგიონის სკოლაში დიდი ყურადღება ექცევა ცხენოსნობის კარგად შესწავლას. ვსწავლობთ შუბებისა და ხმლების ხმარებას—მტრის მარჯვნივ და მარცხნივ მოგერიებას, გვერდებიდან—გვერდებზე ჩხვლეტას, ხმლებით ჩეხვას, ჩორთზე და ნავარდზე გადასვლას, ბარიკადებზე ნავარდით გადასვლას შუბებით და უშუბოთ, თავისუფალ ვარჯიშს და მრავალი სხვ.

უკვე დავამთავრეთ უუზანგოთ ბარიერებზე მეცადინეობა რაც დიდი გულმოდგინეობით მიმდინარეობს. კურსანტებიდან ამორჩეული არიან შეჯიბრზე მონაწილეობის მისაღებათ 30 კარგად მომზადებული ამხანაგები, რომელიც უნდა მოხდეს ლეგიონის ხუთი წლის თავზე.

სამხკორი პ. ნადარეიშვილი.

## საშეფო მუშაობა ჩვენთან.

1-ლი ცალკე ს. კ. ასეული.

კარგი ხანია რაც საკავშირო ასეულს შეფობის ქვეშ ყავს აყვანილი სოფ. ოფუჩხეთი, სადაც ენერგიულ მუშაობას ვაწარმოებთ: მოწყობილ იქნა ხსენებულ სოფელში „ლენინის კუთხე", ვაგზავნით ბიბლიოთეკიდან მრავალ სხვა და სხვა შინაარსის წიგნებს, გადადგმულია შესაფერი ნაბიჯები, რათა ხსენებულ სოფელში მოწყობილ იქნას სამხედრო კუთხე, და გასამხედროების მიზნით იქ იწარმოვოს სისტემატიურმა მეცადინეობამ. სოფლის სამკითხველოსათვის ნაწილმა გამოიწერა გაზ. „წითელ არმიელი", „ახალი სოფელი" და სხვა. მათთან მუშაობის პროგრამა შეტანილია კალენდარულ ცხრილში; ყოველ კვირა სისტემატიურად მიმდინარეობს მეცადინეობა. ასეთი ენერგიული მუშაობა აუცილებლად დიდ ნაყოფს მოუტანს სოფლის გასამხედროების საქმეს; სასურველია ეს მუშაობა არ შეფერხდებოდეს, რათა შესაფერი ნაყოფი მივიღოთ.

სამხკორი გ—ნო.

## არც ჩვენ ჩამოვრჩებით სხვებს

მე-4 ლეგ. მე 8 ასეული

ასეულში სისტემატიურად სწარმოებს ყველა სახის მეცადინეობა. მეთაურები თითქმის ჩვენთან არიან ყოველ თავისუფალ—საათებში და გვესაუბრებიან ყველა საინტერესო საკითხების შესახებ, რათა არც ჩვენ ჩამოვრჩეთ სხვა ნაწილებს და შესაფერი ცოდნა შევიძინოთ ჩვენც.

კარგი იქნება ერთ გარემოებას მიექცეოდეს მხოლოდ ყურადღება: არა გვაქვს წესდებები ქართულ ენაზე. მეთაურებმა შუამდგომლობა უნდა აღძრან სადაც ჯერ არს, რათა გამოგვიგზავნონ ასეთები, წინააღმდეგ შემთხვევაში მეტად გვიჭირს სამსახურის შესრულება. არ კმარა მარტო გადმოცემა წესდების. საჭიროა ხელთ გვქონდეს ის წითელ არმიელებს, რომ შევსძლოთ მისი წაკითხვა და შესწავლა.

წ. არმ. ალ. ხარებაშვილი.

## ჩვენი საქმიანობა

მე 4 ლეგ. სამნეო ასეული.

13 აპრილს შესდგა ასეულის შემადგენლობის გაერთიანებული კრება, რომელზედაც დასმული იყო ასეულის კედლის გაზეთის სარედაქციო კოლეგიის, ლენკუთხის გამგეობის არჩევნების შესახებ და გაირჩა აგრეთვე სხვა მიმდინარე საკითხებიც.

რედკოლეგიის შესახებ მოხსენება გააკეთა ასეულის პოლიტხელმა, რომელმაც გაგვაცნო კედლის გაზეთის მნიშვნელობა, რედკოლეგიის მოვალეობა და სხვა მნიშვნელოვანი საკითხები ამასთან დაკავშირებით.

ასევე გაკეთებული იქნა მოხსენება ლენინის კუთხის შესახებ, აღნიშნული იქნა მისი აღმზრდელობითი მნიშვნელობა წითელ არმიელებისათვის და მრავალი სხვა.

მიმდინარე საკითხებში, შეტანილი იქნა წითელ არმიელებისაგან მრავალი შეკითხვები ზოგიერთი მეთაურების საქციელის შესახებ. ასეულის თავმა ყურადღებით მოისმინა ყველაფერი და დაჰპირდა მათ სათანადო ზომების მიღებას.

სამხკორი ჯ—ჩი.

## რემედასის მუშაობა მოისუსტებს

მე-6 ლეგიონი.

რემედასის მუშაობა მოისუსტებს ჩვენს ლეგიონში. წითელარმიელები ორ წელზე მეტია მის წევრებათ ითვლებიან, მაგრამ კრებები არ ხდება თავის დროზე, არ იციან რემედასის მნიშვნელობა, თუ ვის ემსახურება ის და რა დანიშნულება აქვს მას. ამაზე საჭიროა თავის დროზე იქნეს კრებები მოწვეული და დაარსდეს რემედასის წრე, სადაც წითელარმიელები დაწვრილებით შეისწავლიან მის მნიშვნელობას. საჭიროა ამას მიაქციონ ჯეროვანი ყურადღება და გამოაცოცხლონ ორგანიზაციის მუშაობა.

# ჩვენი პარტიის და კომკავშირის ცხოვრება

## კავშირი მუშებთან.

ცხენოსანი ლეგიონი.

ორი დღის წინად შესდგა ლეგიონის ახკომკავშირის გაერთიანებული დახურული კრება. კრებას დაესწრო საპონტრესტის ორგანიზაციის წარმომადგენლებიც. მოხსენება გააკეთა საპონტრესტის ახკომკავშირის ორგანიზაციის წარმომადგენელმა ახალგაზრდათა ორგანიზაციის ზრდის შესახებ ტრესტში. დაწვრილებით ცნობები მოგვაწოდა ამხანაგმა თუ როგორი მიღწევები აქვს ორგანიზაციას და რამდენი მუშები ირიცხებიან მასში. აღნიშნა აგრეთვე მთელი რიგი მუშაობის გეგმა და სხვა. კრებამ ამხანაგის მოხსენება დამაკმაყოფილებლად სცნო. შემოტანილი იქნა წინადადება, რათა კიდევ უფრო გაღრმავდეს ჩვენი და მუშების ორგანიზაციის ერთმანეთთან დამოკიდებულება და თანამშრომლობა. გამომუშავებული იქნა ამ მიზნით პრაქტიკული ხასიათის წინადადებები. დასასრულ განხილული იქნა კავშირში შემავალ ამხანაგების განცხადებები. კრებით ყველანი კმაყოფილი დარჩენ.

სამხკორი პ. კ—ძე.

## ჩვენი კომკავშირის ჯგუფი.

მე-5 ლეგიონის მე-2 ათასეულში კარგი ხანია ჩამოყალიბდა კომკავშირის ჯგუფი, რომელიც ამ უკანასკნელად მაინც კარგ მუშაობას აწარმოებს. მართალია ამჟამად მცირერიცხოვანია ჩვენი ჯგუფი, მაგრამ ის მუშაობა, რომელსაც ჯგუფი აწარმოებს უპარტიოთა შორის ერთი მხრივ და წითელარმიელების ჩვენი რიგებისაკენ ლტოლვა, მეორე მხრივ იმის დამამტკიცებელია, რომ ჩვენი ორგანიზაცია მალე გაიზრდება რიცხობრივად.

სამხკორი ვ. ნოზაძე.

## ვსწავლობთ პარტყრილობის დადგენილებებს.

მე-4 ლეგიონის მე-9 ასეულის კომკავშირის უჯრედი დიდი ენერგიით შეუდგა კავშირის კომპარტიის ყრილობების დადგენილებების შესწავლას და მის ცხოვრებაში გატარებას. მთელი ორი თვის განმავლობაში უჯრედი ამის გარშემო აწარმოებდა თავის მუშაობას. კრებებს ხშირად ესწრებოდენ ასეულის წითელარმიელებიც და მონაწილეობას ღებულობდენ საკითხების გარჩევაში.

ამჟამად უკვე შეუდექით აღნიშნული დადგენილებების ცხოვრებაში გატარებას. განსაკუთრებით დიდი ყურადღება ექცევა გლეხებთან და უპარტიო წითელარმიელებთან მუშაობის საკითხებს.

სამხკორი ა. იმერლიშვილი.

## ჩვენს სამხკორთა შორის რას ვაქცევთ უმთავრეს ყურადღებას.

ცხენ. ლეგიონი.

უკანასკნელ ხანებში ლეგიონის სამხკორთა მუშაობა საგრძნობლად გამოცოცხლდა. სამხკორები დიდ ენერგიას იჩენენ განსაკუთრებით კედლის გაზეთში მუშაობით. საჭიროა ჩვენი სამხკორები სხვა მხრივაც გამოიჩენდენ ენერგიულობას, კერძოთ გაზ. „წითელ არმიელისადმი" მასალების მიწოდებით. ამას ლეგიონის სამხკორთა ორგანიზატორმაც მიაქცია სათანადო ყურადღება. 16 აპრილს ამხანაგმა მოიწვია სამხკორთა გაერთიანებული არაჩვეულებრივი კრება. ამხანაგმა ვრცელი მოხსენება გაუკეთა კრებას თუ როგორ უნდა ვსწეროთ საბანაკო სამზადისის და ბანაკში ცხოვრებისა და მუშაობის შესახებ, რას უნდა მივაქციოთ უმთავრესი ყურადღება და მრავალი სხვა. იყო შეკითხვებიც. დასასრულ არჩეული იქნა სამეცადინო დღე. ამხანაგმა მოუწოდა დამსწრე სამხკორებს ნუ შეასუსტებენ მუშაობას და გაძლიერონ გაზ. „წითელ არმიელისადმი" კორესპონდენციების მიწოდება ნაწილის მუშაობის შესახებ.

სამხკორი პ.—ლი.

## მეტი გულმოდგინეობაა საჭირო

მე-2 ლეგიონის მე-7 ასეულში დანიშნული იყო სამხკორთა წრის მეცადინეობა ამ რამოდენიმე დღის წინად, მაგრამ სამწუხაროდ არ ვიცი რის გამო, ამხანაგების დიდი ნაწილი არ გამოცხადებულა. 14 აპრილს კიდევ იქნა მოწვეული კრება, მაგრამ აქაც ისე განმეორდა როგორც წინად. საჭიროა ჩვენი ასეულის სამხკორებმა იცოდენ თუ რა მნიშვნელობა აქვს სამხკორთა წრის მეცადინეობას.

ასეთი გულგრილად მოკიდება მუშაობისადმი დაუშვებელია.

ამხანაგებმა მეტი გულმოდგინეობა და მეყაითობა უნდა გამოიჩინონ, წინააღმდეგ შემთხვევაში მიზანს ვერ მივაღწევთ.

სამხკორი მაზნიაშვილი.

# მოსპეთ ნაკლულევანებანი.

## მოგვეცით საათი.

1-ლ საკავშირო ასეულის საგუშაგოში არ არის საათი, რაც დიდ უხერხულობაში აყენებს, როგორც ყარაულის უფროსებს, ისე წითელ არმიელებსაც.

არ ხერხდება თავის დროზე გუშაგების გამოცვლა. ყარაულის უფროსს უხდება რბენა ასეულის შტაბში, რომელიც კარგა მანძილზე დაცილებით არის მოთავსებული და ძნელდება ყოველთვის იქ სიარული.

ყველა უხერხულობას, რომ ბოლო მოეღოს, საჭიროა მოგვეცეს ერთი საათი.

სამხკორი გ.

## უკანონოა

სამხედრო პოლიტსკოლის სამნეო ნაწილი, იმის მაგივრად, რომ საძირეები გადასცეს სკოლის მეჩექმეს ფეხსაცმელების შესაკეთებლად, არიგებს საძირეებს ხელზე. ხშირად, არის ხოლმე შემთხვევა, რომ საძირე ხვდება ისეთ კურსანტს რომელსაც იგი არ ესაჭიროება და ვისაც აქვს შესაკეთებელი ფეხსაცმელი, რჩება ცარიელი.

კურსანტი.

## საჭიროა ჯამები

1-ლი ლეგიონის ბატარეის სასადილოში წითელ არმიელებისათვის არ არის საკმარისი ჯამები, რისთვისაც მათ რიგში უხდებათ დგომა.

ეს გარემოება კი დიდ უწესრიგობას იწვევს. წითელ არმიელები ერთმანეთს სტაცებენ ხელში ჯამებს, იქცევა კერძი და ხშირად ჩხუბამდეც კი მიდის საქმე.

დროა ყურადღება მიექცეს ამ მოვლენას და უზრუნველგყონ ჯამებით ან და სხვა გვარი წესი შემოიღონ სადილობისათვის.

სამხკორი ფრონისპირელი.

# უცხო არმიებში

**ინგლისის არმიის რიცხვი.**

ბრიტანეთის სტატისტიკის უკანასკნელი ცნობების თანახმად 1925 წლის ოქტომბრიდან 1926 წლის მარტამდე ინგლისის ტერიტორიალურ არმიაში გაწვეულია 18.541 სალდათი. პირველი მარტისთვის არმიის საერთო რიცხვი შოტლანდიისა და ლონდონის რაიონის ჩათვლით—აღწევდა 645.457 კაცამდე. ინგლისის არმია შესდგება 14 დივიზიისაგან.

**„ეკონომიის რეჟიმი“ საფრანგეთის არმიაში.**

ფინანსიური კრიზისი, რომელსაც განიცდის ამჟამად საფრანგეთი, აიძულებს მის მთავრობას ეკონომიის მიყოს ხელი იქ, სადაც ეს შესაძლებელია. უკანასკნელ ხანებში ამ მხრივ ყურადღება მიექცა არმიასაც. სამხედრო მინისტრი ადგენს პროექტს განსაკუთრებული კომიტეტის შესადგენათ, რომელსაც დაევალება სამხედრო უწყებაზე ხარჯების შემცირებისათვის საშვალებების გამოძებნა და კერძოთ საკანცელარიო შტატების შემცირებასა და რეორგანიზაციისათვის. კომიტეტი იმუშავებს სამხედრო მინისტრის ან სტატ-სეკრეტრის თავმჯდომარეობით. მის შემადგენლობაში შედის აგრეთვე არმიის გენერალური შტაბის უფროსიც.

**ინგლისის კავალერიაზე გაწეული ხარჯები.**

ინგლისის სამხედრო მინისტრმა ქვედა პალატასა ცნობა, რომ მიმდინარე საბიუჯეტო წელში სახელმწიფოს ცხენოსანთა ნაწილების საჭიროებისათვის გადადებულია 1.909.000 გირვანქა სტერლინგი (დაახლოებით 19 მილიონ მანეთამდე).

# მეცნიერება და ტეხნიკა

**დრედნოუტი—ტანკა.**

ინგლისის არმიის პოლკოვნიკ ხისტინმა დაამზადა დრედნოუტ—ტანკის მოდელი. გამომგონებელის სიტყვების თანახმად ამ აპარატს ვერ დაუდგება წინ ვერავითარი დაბრკოლებები—მას თამამად შეუძლია მდინარეებზე, ტბებზე და ზღვებზე გადასვლა ცურვით; ადვილად ანგრევს გზაში დამხდურ სიმაგრეებსა და სახლებს. მისი სიჩქარე ხმელეთზე უდრის 100 კილომეტრს საათში, წყალზე კი 80 კილომეტრს.

ტანკა—დრედნოუტს თან მიაქვს ორასი სხვა და სხვა სახის იარაღები და შეიარაღებულია ამასთანავე 24 მფრინავი აპარატებით. ის დაცულია ძლიერი ჯავშნით და თვითონ კი შესდგება ფოლადის უჯრედებისაგან, რომელშიდაც მოთავსებულია ჟანგბადი და გელიუმი (მსუბუქი გაზია). ტანკა—დრედნოუტი არ კარგავს საბრძოლო უნარიანობას, თუ გინდ მოწინააღმდეგემ გაანადგუროს მისი უჯრედების ორი მესამედიც.

დრედნოუტ—ტანკაზე მოთავსებულია 100 კაცისაგან შემდგარი რაზმი, რომელიც სრულ უშიშროებაშია. რომ ტყვიამ მიაღწიოს დრედნოუტში მოთავსებულ ჯარის კაცამდე საჭიროა ზარბაზნის რამოდენიმე ასეული ჭურვის მორტყმა ერთ და იმავე ადგილზე. ამ საკვირველების აგება თვით გამომგონებელის სიტყვით დაჯდება 10 მილიონი მანეთი.

**ელსმენის 50 წლის იუბილე.**

ამ დღეებში შესრულდა 50 წელიწადი მას შემდეგ, რაც პირველად მოსმენილი იქნა ადამიანის სიტყვები ელსმენის საშვალებით. ელსმენის პირველი გამომგონებელი—ამერიკელი ბელლი სპეციალობით არ ყოფილა ელექტროტეხნიკოსი. ის იყო ექიმი და მასწავლებლობდა ყრუმუნჯთა სასწავლებელში. შეისწავლა რა ბგერების წარმოშობის კანონი ის მივიდა იმ დასკვნამდე, რომ თუ ხელოვნურად ვაიძულებთ ფირფიტას ცვალებადი სიჩქარით იქანაოს, მაშინ ჰაერში წარმოიშობიან სხვა და სხვა სიგრძის ტალღები, რომლებსაც ჩვენი ყური მიიღებს როგორც სხვა და სხვა ბგერებს.

ათი წლის განმავლობაში შეუჩერებელი მუშაობის შემდეგ, ბელიმ შესძლო პირველი ელსმენის დამზადება, რომელიც შესდგებოდა გადამცემისა და მიმღებისაგან. ელსმენი გამოფენილი იქნა 1876 წელს ფილადელფიის (ამერიკა) მსოფლიო გამოფენაზე.

ამ ჟამად მთელ დედამიწაზე ითვლება 26 მილიონი ელსმენი.

# ამბები სოფლებიდან.

**სენაკის აღმასკომმა** დაადგინა ჩაატაროს კამპანია მაზრაში მებამბეობაზე.

**ახალქალაქის აღმასკომმა** დაადგინა შეიძინოს კანაფის თესლი და მოაწყოს კანაფის პლანტაცია 50 დესეტინაზე.

**16 აპრილს** გორში დასრულდა გლეხთა დამხმარე საზოგადოებების სამაზრო თათბირი.

**სენაკის სამაზრო** გლეხკომმა გადასწყვიტა გადააკეთოს გლეხთა სახლი და გახსნას ბაკი.

**ბორჩალოს სამაზრო** აღმასკომმა გამოიმუშავა მაზრაში ხანძართან ბრძოლის გეგმა.

**ლეჩხუმის მაზრაში,** განათ. კომისარიატის დადგენილებით იხსნება სასოფლო-სამეურნეო ტეხნიკუმი.

# ახალი ამბები.

— **300 მუშაკი სოფელს.** წარსული წლის განმავლობაში ქართ. წით. ჯარში საბიბლიოთეკო საქმე შეისწავლა 300 წითელარმიელმა, რომლებიც ეხლა სოფლებში მუშაობენ.

— **მოძრავი სამკითხველოები.** ქართ. ჯარის ნაწილებში ამჟამად მოქმედობს 30 მოძრავი სამკითხველო.

— **ლიტერატურა.** ნაწილებში მყოფ ეროვნულ უმცირესობათათვის პოლიტგანყოფილება იძენს ლიტერატურას უმცირესობათა ენებზე.

— **სანიმუშო გლეხკომები.** სოც. უზრ. კომისარიატმა და სრ. საქ. გლეხკომების ცეკამ მისწერა მაზრებს მოაწყონ სანიმუშო სათემო გლეხკომები.

— **მუსლიმანურ სკოლებისათვის** განათლების კომისარიატმა ბაქოდან გამოიწერა 10 მასწავლებელი.

— **ა. კ. საგარეო ვაჭრობის** კომისარიატმა მიიღო ამ დღეებში უცხოეთიდან სას.-სამ. იარაღები და მედიკამენტები.

— **საგამოფენო კომიტეტმა** დაადგინა გამოფენაზე მოაწყოს ჩამოტანილი ექსპონატების დემონსტრაცია (გამოსაჩენათ დაღაგება).

# პასუხი შეკითხვებზე

— კახელს. წ. ა. რჩენაზე მყოფ ოჯახის წევრებს უფასოდ ეძლევა საექიმო დახმარება. მიმართეთ აღმასკომის საექიმო განყოფილებას.

— რაჭველს. გლეხკომი უნდა დაეხმაროს თქვენს ოჯახს ყანის დამუშავებაში.

— მასვე. წ. ა. რჩენაზე მყოფნი ოჯახის წევრები თავისუფლდებიან სწავლის ფულისაგან.

— ქლიბს. შეიძლება.

— პაიჭაძეს. ა. წ. შემოდგომაზე.

— კირაკიძეს. ვინაიდან თქვენ გაგითავებიათ სამწერლო კურსები, ამიტომ უნდა იმსახუროთ სამ წელიწადს. კერძო ბინაზე ცხოვრება არ შეგიძლიათ, როგორც წითელ არმიელს.

— ხვინგიას. მიმართეთ მაზრის აღმასკომს.

— ჯარიაშვილს. მიმართეთ თემის და შემდეგ მაზრის მიწის კომისიას.

— მარტიაშვილს. ცხვირსახოცები გეკუთვნით.

— მინგლაძეს. თქვენმა სამხკომმა უნდა აღძრას შუამდგომლობა.

— ჭიკაძეს. მიმართეთ ლეგ. ექიმს, რომელიც რჩევა—დარიგებას მოგცემთ, თუ როგორ უნდა მოიქცეთ.

— ჩიტაიშვილს. თქვენი დარჩენა ნაწილში ზედმეტ მსახურად დამოკიდებულია თქვენს უფროსზე. მიმართეთ მას.

— ელბაქიძეს. არ შეგიძლიათ.

— ხვედურელს. არა.

— მარგებაძეს. უნდა არჩეულ იქნეს მზრუნველი, რომელიც ბავშვის წლოვანებამდე განაგებს მამულს. ეს უნდა მოხდეს სასამართლოს წესით.

— დაინტერესებულს. თუ სამწყობრო მეცადინეობისათვის უვარგისად ხართ ცნობილი, მაშინ არ შეგიძლიათ.

— ცეცხლს. ცოლის შერთვას ლეგ. ბრძანებაში გატარება არ უნდა.

— მ. ტუღუშს. საქმის მწარმოებლის თანამდებობაზე.

— ა. გორდელაძეს. წაიკითხეთ რევსამხსაბჭოს ბრძანება №106—26 წ.

— არუთინოვს. ახსნა-განმარტება შეგიძლიათ მიიღოთ ლეგ. უფროსისაგან. მიმართეთ მას.

— თოფურიას. შეგიძლიათ. მიღებულ იქნებით პირველ კურსზე.

— კალამს. ასეულის გადამწერი გადის საყარაულოში.

— ცხომელიძეს. შემოდგომაზე.

— რენელს. შეგიძლიათ. გაეცანით რევსამხსაბჭოს ბრძანება №106—26 წ.

ტ. რ—ს. იმიტომ არ ღებულობთ, რომ არ ხართ ზედმეტი მსახურად. ბრ. №106—26 წ.

# ლიტერატურის საჩვენებელი პირველი საფეხურის პარტსკოლის პროგრამისათვის

მე-6, 7, 8 და 9 საუბრებისათვის.

— 1. გვაზავა და გორდელაძე. პოლიტცოდნა (სათანადო თავები). ტ. „წერკუმსი“ 1925 წ.

— 2. სტალინი. მე-14 პარტკონფერენციის შედეგები. ტ. “ზაკნიგა“ 1925 წ.

— 3. სტალინი. რ. კ. პ. ცეკას პოლიტ-ანგ. მე-14 პარტყრილობაზე. ტ. „ზაკნიგა“. 1926

— 4. ლენინი. თხზულებანი. ტომი—18. (გვ. 217) ტ. სახ. გამ. 1924.

— 5. სტალინი. კითხვები და პასუხები. ტ. “ზაკნიგა„. 1925

— 6. ლენინი. სასურსათო გადასახადის შესახებ. ტ. სახ. გამ. 1924

— 7. რეზოლიუციები მე-14 პარტყრილობის ტ. „ზაკნიგა“ 1926.

— 8. ლენინიზმი თუ ტროცკიზმი. (გვ. 81) ტ. „საბჭ. კავკ.“1925.

— 9. „ლენინი. კოოპერაციის შესახებ. ტ. „ცეკავშირი“ 1923.

საუბარი მე-10. რ. კ. პ. (ბ) წით. არმიის ბელადი.

—1. ბრონინი, ი. ლენინი და წითელი არმია. ტ. სახ. გამ. 1925

— 2. ფრუნზე. მოხსენება წით. არმიის შესახებ. ტ. 1 და 2 დივიზ. პოლ. განყ. 1925.

— 3. Книга для чтения для сокращенных щкол политграмоты. Вып. 3. ТКП (б) и Кр. Армия. М. Гиз. 1926.

მე-11 და 12 საუბარი. პარტორგანიზაცია წითელ არმიაში. კომკავშირი წითელ არმიასა და ფლოტში.

— 1. Книга для чтения для сокращенных школ политграмоты. Вып.—3. ТКП (б) и Красная Армия.

საუბარი მე-13.

— 1. ლენინი. თხზულებანი. ტ. 18 სახ. გამ. 1924.

— 2. ლენინი. მემარცხენეობის საყმაწვილო სენი კომუნიზმი. ტ. სახ. გამ. 1924.

— 3. ზინოვიევი. რ. კ. პ. (ბ) ისტორია. ტ. „ზაკნიგა“. 1926.

ყველა ზემოაღნიშნულ საუბრებისათვის სახელმძღვანელოდ გამოიყენეთ: სტანჩინსკი. პოლიტანბანი. ტ. „ზაკნიგა“. 1926. გვ. 411.

საბიბლიოგრაფიო ბიურო.

# ვის აქვს საწინააღმდეგო?

1-ლ ქ. მ. დ. ცალკე მესანგრე ასეულის კომუჯრედში შემოტანილი აქვს განცხადება პარტიაში მიღების შესახებ ამავე ასეულის წ. მოლაშქრეს შალვა სპირიდონის-ძე დვალს. (მუშა, მჭედელი. რაჭის მაზრიდან.)

ვისაც აქვს რაიმე საწინააღმდეგო, გთხოვთ გვაცნობოთ.

ქ. ქუთაისი. ცალკე მესანგრე ასეულის კომუჯრედში.

კომუჯრედის პ. მ. მდივანი მურადოვი.

1-ლ ქართულ მსროლელ ლეგ. უნცმეთაურთა სკოლის პარტუჯრედში შემოტანილი აქვს განცხადებები პარტ-კანდიდატად გადარიცხვის შესახებ, შემდეგ კომ-კავშირის წევრებს:

1. ორაგველიძე დავით იოსების ძეს (1923 წლიდან), 2. ჩხაიძე ვასილი რაჟდენისძეს (1923 წლიდან), 3. მარგიევი ზარზერგ აიქოსისძეს (1923 წლიდან), 4. ყუფარაძე კოლიას (1925 წლიდან).

თუ ვინმეს აქვს საწინააღმდეგო ამ ამხანაგების პარტიაში მიღების შესახებ, გთხოვთ გვაცნობოთ ერთი კვირის განმავლობაში 1-ლ ქარ. მსროლელ ლეგ. უნცმეთაურთა სკოლის კომუჯრედში.

# განცხადება

ოთხშაბათს 21 აპრილს მეორე დივიზიის პოლიტგანყოფილებაში შესდგება თათბირი.

დასწრება სავალდებულოა თბილისში მდგომ ქართულ ნაწილების სამხედრო კომისრებისა.

პოლიტგან. უფროსი მარკაროვი.


# რა ღირს „წითელი არმიელი“!!

ცალკე ხელის მომწერთათვის:

1 თვით — 50 კაპ.
3 თვით — 1 მ. 35 კ.
6 თვით — 2 მ. 50 კ.
12 თვით — 5 მან

წითელ-არმიელებისათვის კოლექტიური ხელის-მოწერა არა ნაკლებ 10 ცალისა:

1 თვით — 40 კაპ.
3 თვით — 1 მ. 10 კ.
6 თვით — 2 მ.
12 თვით — 3 მ. 80 კაპ.

ცვალებადელთათვის სოფელში გადაგზავნით იგივე რაც წითელ არმიელებისათვის


ნ. ლ. ს. ც. სამხედრო სტამბა კეცხოველის ქ. № 8. დრ. პასუხისმგებელი რედაქტორი ბ. ადამაძე.